სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო

SPATIAL AND URBAN DEVELOPMENT AGENCY

KARR0102791689622

ფაქტობრივი მისამართი: 0112, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №154
154 David Aghmashenebeli Avenue, 0112, Tbilisi, Georgia.

№ 04/712

28 / დეკემბერი / 2022 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს,
სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს
უფროსს
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

სსიპ - სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 2022 წლის 22 დეკემბრის № 21/8107 წერილი (შემოსული დოკუმენტი № 827/12 22.12.2022) და 16 დეკემბრის № 21/7845 წერილი (შემოსული დოკუმენტი № 809/12 16.12.2022), რომლებიც ეხება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ შემუშავებული საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკისა და მისი დანართის - ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმის პროექტების სკოპინგის განცხადებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მთლიანობაში დოკუმენტი კარგ პროფესიულ დონეზეა შემუშავებული. ამასთან ერთად, სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში გააჩნია შემდეგი შენიშვნები და რეკომენდაციები:

1. გვ. 14-ზე განსაზღვრულია სტრატეგიული დოკუმენტების მოქმედების არეალი:

,, 2.2.4 სტრატეგიული დოკუმენტების გეოგრაფიული არეალი

საქართველოს სახელმწიფოს ენერგეტიკული პოლიტიკა და ენერგეტიკისა და კლიმატის ეროვნული ინტეგრირებული გეგმა მოიცავს საქართველოს მთელს ტერიტორიას. შესაბამისად, ამ დოკუმენტების განხორციელებამ ზემოქმედება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლოა მთელი ქვეყნის მასშტაბით მოახდინოს.“

გვ. 20 - 3.1 გარემოსა და დასახლებების მიმოხილვა.

ტექსტური ნაწილი მოიცავს 2 აბზაცს, გრაფიკული - 1 რუკას.

შენიშვნა: მასალა ძალზე ზოგადი და მწირია. უნდა მიეთითოს რომ გარემოს მოკლე მიმოხილვა წარმოდგენილია შემდეგ თავებში - 3.2.3 – 3.2.9. ანალოგიურად დასახლებებთან დაკავშირებული მოკლე ნაწილობრივი მიმოხილვა 3.2.10 – 3.2.12 თავებშია.

2. გვ. 21 - რუკა 1. საქართველოს მთავარი დასახლებული ტერიტორიები, ქალაქები, დაცული და ზურმუხტის ქსელის ტერიტორიები.

შენიშვნა: დასახლებული ტერიტორიების სახით დატანილია მხოლოდ ძირითადი ქალაქები. ლეგენდაში ეს თემატიკა არაა ასახული.

მიზანშეწონილია ცალკე თემატურ რუკაზე დატანილი იყოს საქართველოში არსებული განსახლების სისტემის შემადგენელი დასახლებების ყველა კატეგორიის - ქალაქების, დაბების და სოფლების ძირითადი ნაწილი.

3. გვ. 21 - რუკა 1-ზე დატანილია საქართველოში არსებული და დაგეგმილი დაცული ტერიტორიების საერთაშორისო კატეგორიებიდან მხოლოდ ზურმუხტის ქსელის ტერიტორიები.

აღსანიშნავია, რომ გვ. 48 -ზე შემდეგი ინფორმაციაა მოყვანილი - ,,ახლახან UNESCO-ს „ადამიანი და ბიოსფეროს“ პროგრამის (MAB) ფარგლებში მიღებული იქნა გადაწყვეტილება კახეთის რეგიონში ორი ბიოსფერული რეზერვატის (დედოფლისწყაროს და სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი)“ შექმნის შესახებ.“

საქართველოს კანონით დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ დადგენილია შემდეგი:

იხ. მუხლი 3. დაცული ტერიტორიების კატეგორიები

,,2. საქართველოში დასაშვებია არსებობდეს – ბიოსფერული რეზერვატი, მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორია.“

ზემოაღნიშნულის საფუძველზე აუცილებელია ამ საკითხზე სრულფასოვანი ინფორმაციის დამატება.

4. გვ-ბი 66 – 3.2.10 კულტურული მემკვიდრეობა

რეკომენდირებულია დაემატოს ინფორმაცია შემუშავების პროცესში არსებული - ქალაქ მცხეთის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაციის შესახებ. ასევე ქ. მცხეთის სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის დოკუმენტაციის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის ანგარიშის შესახებ.

5. გვ-ბზე 66 -78 3.2.10 – 3.2.12 თავებში დასახლებებთან დაკავშირებული მოკლე ნაწილობრივი მიმოხილვის ტექსტურ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს განსახლების სისტემის შესაბამისი ინფორმაცია დასახლებების რაოდენობის, მოსახლეობის რიცხოვნობის, ტერიტორიების ფართობების, სიმჭიდროვეების შესახებ. ასევე რეკომენდირებულია დაემატოს ინფორმაცია დემოგრაფიის, სატრანსპორტო სისტემების, საინჟინრი ქსელების, სოციალური ინფრასტრუქტურის შესახებ.

6. გვ 67. შესაძლო ზემოქმედებების მიმოხილვა

,,კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში სამშენებლო და რეკონსტრუქციის პროექტების განსახორციელებლად მშენებლობის ნებართვას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანხმობით, გასცემს.“ - არასწორი ინფორმაციაა.

უნდა ეწეროს:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისი დადგენილება №257

განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების (გარდა რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ

თავი VI მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესის მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოები

მუხლი 17. მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში მონაწილე სხვა ადმინისტრაციული ორგანოები

1. მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში ამ დადგენილების შესაბამისად მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესის პირველ და მეორე სტადიაზე მონაწილეობას იღებენ შემდეგი სხვა ადმინისტრაციული ორგანოები:

ბ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებში (გარდა ქალაქ თბილისის ტერიტორიისა და კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლებისა) – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებში (გარდა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლებისა) – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის საბჭო, რომლის შემადგენლობა მტკიცდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით;

7. გვ-ბზე 66 -78 3.2.10 – 3.2.12 თავებში დასახლებებთან დაკავშირებულ ნაწილებს აუცილებელია დაემატოს ინფორმაცია დამტკიცებული სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შესახებ. ასევე მასალები ამ სტრატეგიული დოკუმენტების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების პროცესში შემუშავებული ეტაპობრივი დოკუმენტების შესახებ.

8. გვ. 78 – 3.3. ,, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები.“

უნდა ეწეროს - ,, გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზემოქმედების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები.“

9. გვ. 79 – 3.4. ჩასატარებელი კვლევები

შენიშვნებში აღნიშნული დასამატებელი ინფორმაციის მოძიება უნდა გათვალისწინებული იყოს წარმოდგენილ თავში.

პატივისცემით,

სსიპ–სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

იოანე მენაბდე